დანართი 1

ნატო ფიცხელაური - დეკანის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
ნინო ჩიხლაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი
მირანდა მიქაძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
ნინო მარუაშვილი - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისი (I კატეგორია) - კომისიის წევრი;
ია ხახუტაიშვილი - ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების კოორდინატორი - კომისიის მდივანი.

მედიცინის ფაკულტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:
საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე კანდიდატის შერჩევა.
ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.
1. კომისია დაუსწრებლად აფასებს აპლიკანტის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის განსაზღვრულ მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.
2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.

4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე შერჩეულად ჩაითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატი დაინიშნება აღნიშნულ პოზიციაზე და გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.